# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

ალექსანდრის პროსპექტზე, ეგ. მუხრანსკის სახლებ-ადლერის ქვემოთ

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გურარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელისმომწერთათვის ადრესი: В Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა | 9 მან. | სამის თვისა | 3 მან. |
| ექვსის თვისა | 5 მან. | ერთის თვისა | 1 მან. |

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., სხვ მოთავსებული ასოზე ნახევარი კაპ., წვეულებრივ ასოთა ... ზე შაური.

თუ ხელწერილს მოითხოვს, ... და მეიმოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.


## ტელეგრამმა

(ჩრდილოეთის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 12 თებერვალს. მოსკოვის ვაჭრები შეგროვდნენ და, მოლაპარაკების შემდეგ, გამოაცხადეს, რომ კასპიის იქითა მხრის რკინის გზის გაკეთება რუსის ვაჭრობისათვის მძიმე საჭიროებას შეადგენსო.

პირველი სხდომა გადასახლების თაობაზედ მოწვეულ ექსპერტებისა 11 თებერვალს იყო. სხვათა შორის გადაწყვიტეს: სოფლის მოხელეები ვალდებულნი არიან მოახსენონ გუბერნიის უპრავლენიებს სია იმ გლეხებისა, რომელთაც გადასახლება სურთ; თავის ნებით გადასახლება რუსეთის განაპირ ქვეყნებში-კი აღკრძალულია.

ბოსნიაკები პირობას აძლევენ ავსტრიის მმართებლობას, ხალხი დამშვიდდებაო, თუ ნაციონალურ ადმინისტრაციას მოგვცემთო, სარწმუნოებას არ შეგვივიწროებთ და ხარჯს შეგვიმცირებთო.

პეტერბურღის ბირჟა, 12 თებერვ.

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემისა — | 95—25 |
| მეორესი — — — — | 91—25 |
| მესამესი — — — — | 92— „ |
| მეოთხესი — — — | 91—25 |
| მეხუთესი — — — | 90—12 |
| ოლმოსავლეთის პირვ. — | 89—87 |
| ოლმოსავლეთის მეორე | 89—62 |
| ოლმოსავლეთის მესამე | 89—87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8—15 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 218—50 |
| მეორე სესხის — — | 217—50 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—19 | პენსი |
| ჰამბურღი — | 205—75 | ცენტი |
| პარიჟი — — | 254— „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## საცხენისში, სიღნაღს თუ თელავში?

თფილისი, 13 თებერვალს.

აქამდინ რკინის გზის გაყვანაზე ვჩიოდით: თითქოს განგებ, ქალაქებს და უფრო მჭიდროდ დასახლებულ და ბუნებით მდიდარ ადგილებს გვერდს უხვევენო და უდაბნო ადგილებში გაჰყავთო; ქუთაისი რიყეზე დაგვიტოვეს; ბაქოს გზა ისეთ ვერანა და უდაბნო ადგილებში გაჰყავთ, სადაც ერთი დღის სავალზე არც ხე მოიპოვება და არც სასმელი წყალი, ყოვლის მხრით მდიდარი კახეთი კი განზე დასტოვეს; ესევე მოუვიდა ოზურგეთის მაზრას, სადაც ბათუმის რკინის გზა ისეთ ადგილებზე გაიყვანეს, რომ მცხოვრებლები არ მოიპოვება და დიდ სოფლებს კი გვერდი აუარეს.

ახლა ესვე წესი სასწავლებლების გახსნაშიაც შემოიღეს; აქაც, თითქო განგებ, ქალაქებს გვერდს უხვევენ და მიყრუებულ სოფლებში ხსნიან სასწავლებლებსა. მოვიგონოთ თუნდა ქუთაისის გუბერნიის საოსტატო სემინარიის საქმე; მოსძებნეს დაბა ხონი და იქ დაასკუპეს!

ამ გვარივე ბედი მოელის დღეს საცხენისის სასწავლებელსაც.

დღევანდელ გაზეთში ამოიკითხავთ, რომ ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების გამგეს განზრახვა აქვს, საცხენისის ორ-კლასიანი სასწავლებელი ექვს-კლასიან რეალურ სასწავლებლად გადააკეთოს, სადაც რვა წლის განმავლობაში ყმაწვილმა, სხვა-და-სხვა ჩვეულებრივ საგნებს გარდა, უნდა შეისწავლოს აგრეთვე სოფლის მეურნეობა თეორეტიულად და პრაქტიკულად: ბაღოსნობა, მევენახობა, პირუტყვის მოვლა, ბოსტნის ხელობა, ფუტკრის ხელობა, ერბო-ყველის და სხვ.

რასა თქმა უნდა, რომ ამ გვარი სასწავლებლის გახსნა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც სოფლის-მეურნეობის ქვეყნად ითვლება, ძალიან სასიამოვნო მოვლენაა, და დიდი მადლობა ეძლევის ამისათვის ბ. იანოვსკის— ჩვენი ქვეყნის სწავლა-განათლების მოთავესა და გამგებელს, რომელმანც ამ გვარისა სწავლებლის გახსნა განიზრახა.

მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია—რატომ მაინცა-და-მაინც საცხენისში უნდა გაიხსნას ეს პრაქტიული საშუალო სასწავლებელი და არა სხვაგან სადმე კახეთში? რა უპირატესობა აქვს ამ მიყრუებული, კახეთის თითქმის ვანაპირზე მივარდნილ სოფელს კახეთის სხვა ქალაქებისა და დიდ შუაგულ სოფლების წინაშე? სწავლება უკეთ შეიძლება აქ, თუ ყმაწვილები უკეთ მოთავსდებიან? გზა უფრო კარგია, თუ გარშემო ხალხი უფრო მჭიდროდ ცხოვრებს? არც ერთი, არც მეორე, არც მესამე. ვეძებთ და ვერავითარი უპირატესობა ამ სოფლისა კახეთის სხვა ქალაქებთან და სოფლებთან შედარებით ვერ გვიპოვნია.

პირ-იქით ორი ქალაქი კახეთისა და სხვა სოფლები კი ბევრ უპირატესობას წარმოადგენენ ამ საცხენისთან შედარებით. კახეთში ბევრი ისეთი შუაგული სოფლები მოიპოვება, სადაც ნიადაგიც უკეთესია საცხენისისაზე, ბაღოსნობა და მევენახობაც უფრო რიგიანი, ხალხიც მომეტებული და გარშემო მცხოვრებლებიც უმრავლესი.

მაგრამ რა საჭიროა საზოგადოდ სოფელში ამისთანა საშუალო სასწავლებლის გახსნა თუ კი ქალაქი ახლოს სადმე მოიპოვება? კახეთში და ქიზიყში ორი ქალაქია—თელავი და სიღნაღი, და ამ ორ ქალაქში ერთ-ერთი უნდა ამოერჩიათ.

ამბობენ, სიღნაღი ძალიან ცდილობსო, რომ ეს სასწავლებელი ამ ქალაქში გახსნასო. სადგომს ჰპირდებიანო, წელიწადში სამასი თუმანი აღუთქვესო და კიდევ სხვა რაღაცაებიო.

მე მხოლოდ ეს მაკვირვებს: მოგეხსენებათ, რომ მომეტებული ნაწილი სიღნაღის მცხოვრებლებისა სომხები და ვაჭრები არიან,—რად უნდათ სომხებს და ვაჭრებს ისეთი სასწავლებელი, რომელშიაც ბაღოსნობას, მევე-

---

«დროების» ფელეტონი, 14 თებერვ.

## იმერლის საუბარი

მეორედ-მოსვლას რომ მოელოდა

(სცენისათვის)

—ახლა მეტყვით:—რას მოგწყენია, ივანიკაო? რა მაქ სასიხარულოო? მოდი და ნუ მოიწყენ... სულ ბევრი, ბევრი ერთი თვე! ზინდა იქით გაჭიმეთ და ზინდა აქეთ გამოჭიმეთ, მაინც ვერას გავხვდებით: ზე მოგვადგება კარზე მეორედ მოსვლა!... ვაზეთებმა ძალუან გადაფიცეს:—არაო! ვითამ დაგვაჯერეს, მარა აჰ! მათი პურტყული! ჭმ!.. მათი დამჯერეო, წყალში ჩამჩერეო!.. სულ ერთია! სხუმის როდის უთქვამთ გაბედვით მართალი? ან კი ვინ ათქმევინებს, თვარა ისინიც რომ მართალს ანბობდენ, ჩვენ ერთმანეთს სირცხვილით თვალებში ვეღარ შევხედავდით!.. —არ იქნება! ნე ბუდიტო მეორედ-მოსვლაო! კაკ ნე ბუდიტ?! კუდიანი ვარსკვლავი ზ: ჩემ ბუდიტ?... ისო ცდომილი ვარსკვლავიაო! კაკოი ცდომილი? ვინ ეშმაკმა აცდუნა? რავა... მასკვლავებიც არშიყობენ თუ? გზა დაბნევიაო? ვეი პლაჩ! გზა დაბნევია რა, იერუსალიმში მიდიოდა თუ?! ის კუდი უკანიდან კი არ იყო, წინიდან იყოო! ფხუუუ! მტყობა შამალი მასკვლავი ყოფილა! ეჰ გვატყუებენ რაღა! განა სხვა ნიშნები კი ცოტა იყო? აპა რაა ეს მოსწრებული სიკვდილი, ხიზილალის გაძვირება, საფლავების გათხრა და კუბოების გახსნა ვიღაც არხიპელაგის კაცებისაგან, მიწის-ძვრა და ათასი ვაი-უშველებელი? მიწის-ძვრა არაფერიაო! რავა არაფერია! ის არის რაც მკითხავმა თქვა: დედა-მიწას მუცელი ეძრა და აწი სადაცაა დეიბადება და ამოვა ქვესკნელიდან ტანტაროზიო!... მოდი და ნუ დაუჯერებ! ბეჯ,ითია, თქვენ ნუ დამეხოცებით... სტავლული კაცები კი იძახიან: ნიჩაოო. ქვესკნელი დულსო და ის ანძრევს დედა-მიწასაო! მართალია, ნავთი და ნახშირი იქ ბრეულია... ცეცხლი კი დეინთებოდა, მარა ის წამკიდებელი ვინღა ეშმაკი იყო და ვის ქონდა სტრახში შეტანილი ჩვენი დედა-მიწა?! სწორეფ, თქვენ მოუკვდებით ჩემს თავს, ვიღაც კვტარი სომეხი იქნებოდა, მარა უეშმაკოთ ხომ ვერ მოახერხებდა და მაინც ეშმაკის საქმე ყოფილა... და აპა ახლა ქვე მოგვადგება ქვეიდან ჯოჯოხეთი და ჩვენც სუყველა ში შევადღერთ ტვლეპას!.. ამას აღარა გეეწყობა-რა და ვისაც რამე გაქვთ საქნელი, ქე ქენით ბარემ თუთხმეტამდი!.. მანამდი რასაც მოასწრებთ შეჭამეთ და რაც არა... მერე კი პროშჩაიტ!..

აკაკი.

11 ოკტომბერი, 1881 წ.

## ბოლგარია

(გაგრძელება *)

იოანე შიშმანი გადავიდა ტირნოვიდამ სრედეცში (სოფიაში), სადაც შვიდი წელიწადი ეომა სულთან ბაიზიდს. შემდეგ ამისა ბაიაზიდმა გაილაშქრა დაკიაზედ; მოუწოდა სარდლებათ მარკოს და კონსტანტინესაც, მაგრამ რაკი დაკიელები და ბოლგარები მოეგებნენ წინ ბრძოლის ველზედ ჯვრებით და ხატებით, ამან შეაფერხა მარკო და კონსტანტინე და უარი ჰყვეს ქრისტიანებთან ომსა. ეს ამბავი შეიტყო თუ არა ბაიზიდმა, მაშინვე უბრძანა თავის ჯალათებს და ორნივ ლუკმა-ლუკმა დააკუწვინა, რომლის გამოც ამ ალაგს უწოდებენ დღესაც „კალუგერენ", ე. ი. „საბერო", რომელიც მდებიარობს ქალაქ ბუხარესტის დასავლეთის მხრით.

ეს ომი დაბოლოვდა მით, რომ ბაიზიდმა დაკია ანუ ეხლანდელი რუმინია დაიპყრო და გახადა თავის მოხარჯეთ.

ამ დროს ვენგრიის მეფე სიგიზმუნდი დ ეცა ქ. ნიკოპოლს და აიღო; ბაიზიდი იძულებული იყო შეეკრა კავშირი მირჩო სარდალთან, რომ არ მიეშველებიყო სიგიზმუნდს, და რაკი მირჩო დაითათბირა, ბაიზიდმა მიჰყო ხელი სიგიზმუნდის ჯარსა და უკუ-

*) იხ. „დროება" № 29.

ნახობას, პირუტყვის მოვლას და საზოგადოდ სასოფლო მეურნეობას ასწავლიან? ზანა იმათი ხელობა არშინი და დაზგა არ არის? მაგრამ ამ შემთხვევაში სიღნაღელებს, როგორც ხონელებსაც, ერთი და იგივე ანგარიში აქვთ: სასწავლებელი გაიხსნებაო, მასწავლებელი და მოსწავლეები იცხოვრებენ ჩვენს ქალაქში, ვაჭრობა მოიმატებს, სახლის ქირა მოიმატებს და ყველა ეს ჩვენთვის სასარგებლო იქნებაო! მაშა-სადამე სასწავლებელი იმათ ისე კი არ უნდათ, როგორც სასწავლებელი, როგორც სწავლა-განათლების მომფენი, არამედ ისე, როგორც კუჭი, რომელსაც ჭამა-სმა ეჭირება, როგორც სახლის დამქირავებული, როგორც ტანისამოსის მყიდველი და ერთის სიტყვით ისე, როგორც იმათი დუქნის მუშტარი...

ესეც რო არ იყოს, სიღნაღში ადგილიც არ არის ამ გვარ სასწავლებლის. ამისთანა სასწავლებელს სადგომს გარდა ეჭირება დიდი საბალო ადგილები, საყენახო, ფუთკრისათვის, საბოსტნო, სხვა-და-სხვა სახელოსნოებისათვის და სხვ. სიღნაღი-კი ერთს ხრიაკის ზურგზე მოქცეულა, მისასვლელი გზა არა აქვს ისეთი სივიწროვეა თვითონ ქალაქში, რომ სახლები თითქმის ერთი ერთმანეთზე დაუსკუპავთ. სად გნებავთ, რომ ამისთანა სასწავლებელი მოათავსოთ იქ?

სრულებით სხვა სურათს წარმოგვიდგენს თელავი. ეს არის გული კახეთისა; გარშემო, მახლობლად ბევრი და მჭიდროდ დასახლებული სოფლები; მშვენიერი გაშლილი ადგილი; სასწავლებლისათვის როგორი და რამდენი ადგილიც გნებავთ, იპოვით; ბომბორის გზით დაახლოვებული თფილისთან; ყოვლის მხრით ჩინებული, შოსეს გზა; ადგილი მისვლა-მოსვლა გარშემო ცხოვრებლებთან: ხალხი მიმდევარი მეურნეობისა და სხვ. და სხვ.

უველა ამ მოსაზრებით, ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ თელავს.

და დასასრულ ვისურვებთ, რომ, რადგან ჯერ დრო არ გასულა ჩვენმა სწავლა-განათლების გამგე მთავრობას კარგად გამოიკვლიოს ეს საგანი, მიუდგომელად ასწონოს, სად უკეთესი იქნება ამ რეალურ სასწავლებლის გახსნა და შემდეგ გადაწყვიტოს... ძლივს ერთი რკინის გზა ელირსა ჩვენს ქვეყანას, ძლივს ერთ პრაქტიკულ სასწავლებელს გვიხსნიან და სასურველია, რომ ეს გზა და ამ გვარი სასწავლებელი რაც შეიძლება მომეტებულ ხალხს გამოადგეს,—ამიტომ ვლაპარაკობთ ამ საგნებზე ასე ბევრს...

## დღიური

მოგვყავს აქ ახალი წესდება საცხენისის სასწავლებლისა, რომელიც ზევით, წინა სტატიაში, მოხსენებული:

ეს სასწავლებელი ექვს-კლასიან რეალურ სასწავლებლად გადაიქცევა. პირველს ოთხს კლასში ასწავლიან: სამღვთო წერილს, რუსულსა და ორს უცხო ენას, ქართულ ენას, მათემატიკას, მეხანიკის, ბუნების მეცნიერებას, ფიზიკას, ქიმიას, გეოგრაფიას, ისტორიას და ხატვა-ხაზვას. ამ პირველ ოთხის წლის განმავლობაშიაც შაგირდები ცოტ-ცოტათი შეეჩვევიან მინდორში და სახელოსნოებში მუშაობას, ისწავლიან მეურნეობასა და სოფლის არხიტექტურას.

ორს უფროსს კლასებში, მეხუთეში და მეექვსეში, მხოლოდ სოფლის მეურნეობასა და ტეხნოლოგიას ასწავლიან და გაზაფხულზე, ზაფხულზე და შემოდგომაზე-კი პრაქტიკულად.

ყმაწვილები სულ 8 წლის განმავალობაში დარჩებიან სასწავლებელში ასე, რომ აქედამ გამოსულ ყმაწვილკაცებს ეცოდინებათ: ბაღოსნობა, ბოსტნის, ვენახის, ფუტკრის ხელობა, საქონლის მოვლა, ერბო-ყველის კეთება და სხვ., ეცოდინებათ აგრეთვე სამეურნეო იარაღების ხმარება და იმათი გაკეთება.

ამ სასწავლებლის ხარჯად მთავრობას გადაუდვია წელიწადში 44,190 მან., რომელშიაც ჩათვლილია ის 12,900 მანეთი, რომელიც დღემდინ საცხენისის სასწავლებლისა და პანსიონისათვის იხარჯებოდა. სასწავლებელთან გახსნილი იქნება პანსიონი 100 ყმაწვილისთვის სახელმწიფო ხარჯით.

ეს წესდება ჯერ უმაღლესის მთავრობისაგან დამტკიცებული არ არის, ეს არის მხოლოდ კავკასიაში სწავლა-განათლების გამგებლის ჰაზრი.

*
* *

გაზ. „გოლოსში" დაბეჭდილია თფილისიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც შემდეგი სტრიქონები ამოვიკითხეთ:

„ძრსად არა უჭირს შაგირდებს ლათინურისა და ბერძნულის ენების შესწავლა ისე, როგორც ჩვენს საშუალ-სასწავლებელში. რუსის ყმაწვილებს მხოლოდ სამს ენას ასწავლიან: ბერძნულს, ლათინურსა და ერთსაც ახალს; ქართველი და სომეხი ყმაწვილი-კი, ამ ენებს გარდა,ვალდებულია რუსულიც შეისწავლოს. ჩვენ გვგონია, სამინისტრომ უნდა მიიღოს მხედველობაში ეს გარემოება, რადგან ამ წესის სამწუხარო შედეგი ახლანდელ სახალხო განათლების მინისტრმა ბარონ ნიკოლაიმაც კარგად იცის, და ადგილობრივ გიმნაზიებში შეამსუბუქოს ამ „მკვდარ ენების" შესწავლა".

*
* *

ხვალ, ორშაბათს, ქალაქის რჩევას სხვათა შორის შემდეგ საგნებზე ექნება სჯა:

საქალაქო სასწავლებლების კომიტეტის მოხსენება თფ. მეორე გიმნაზიის გადიდებაზედ;

ამავე კომიტეტის მოხსენება იმის შესახებ, ა) რომ ქალაქმა შემწეობა მისცეს ბ. სარქისოვის ცოლს, რომელიც ქალებისათვის სახელოსნო ს[…] წავლებელსა ხსნის, და ბ) შემწ[…] მისცეს ქალაქმა ჯგლეფელე[…] კალურ სკოლას.

მოხსენება ქალაქის გამგეობისა [...] რუტყვის დამცველ საზოგადო[…] თხოვნაზედ, რომ მაწანწალა ძაღ[…] ბისათვის თავ-შესაფარი სახლი გა[…] მართოს;

აუქციონის კამერის წესდებაზედ;

მოხსენება გამგეობის ქალაქის [...] მოსავალ-გასავლის ანგარიშზედ და [...]

*
* *

„კავკაზში" დაბეჭდილია შემდ[…] ოფიციალური ცნობა იმ პოლიც[…] აფიცერზე, რომელიც კუკიის [...] დის ზემოთ, მტკვრის პირად ნა[…] მოკლული:

„5 თებერვალს მტკვრის ნაპირ[…] სახერხავთან, იპოვნეს გვამი მ[…] უჩასტკის ოკოლოდოჩნი ნადზირა[…] ლისა გუბერნიის სეკრეტრის ბალ[…] მოვისა. მიცვალებულ[…]ი სამად [...] გაჭრილი; თავი გატეხილი ჰქონ[…] ყელი გამოჭრილი. უველა ეს სხე[…] ლის ნაწილები ნავთის პატარა ბო[…] კაში ჩაეწყოთ და მტკვარში გად[…] დოთ. მოკლული ბალუმოვი წინ [...] მეს, 4 თებერვალს თეატრში იყო [...] ნიშნული დეჟურნად, მაგრამ არ [...] მოცხადებულა. მიცვალებულს დარ[…] ცოლი და ოთხი მცირე წლოვა[…] შვილი".

*
* *

სომხურ გაზეთს „მეღუში" იწერ[…] ბიან, რომ ერთს ბაქოს მდიდარ ს[…] მეხს ასი ათასი მანეთი შეუწირ[…] ეჩმიაძინის მონასტრისათვის.

*
* *

ამავე გაზეთის სიტყვით, პეტე[…] ბურღის მდიდარ სომეხს ხანასარო[…] საშუალ სასწავლებელი გაუმართა[…] აზრუმში, რომელშიაც ყველა საგნ[…] სომხურად ასწავლიან, და შაგირდ[…] ბისათვის, იმის ხარჯით, პანსიონ[…] იქნება გამართულიო!

*
* *

---

ქცია, თვით მეფემაც ძლივს მოასწრო გაქცევა და თავის გადარჩენა.

ეს ამბავი სიგიზმუნდმა აცნობა რომის პაპს, რომელმანც მაშინვე შეუთვალა ფრანცუზის მეფეს კარლო მეექვსეს, ფილიპე ბურგონის ჰერცოგს, ვენეციელებს და პოლშელებს, რათა შეუერთდნენ სიგიზმუნდს და ებრძოლონ საზოგადო ქრისტიანების მტერს—ოსმალებს; მაგრამ გაგულადებულმა პიაზიდმა გაიმარჯვა ამ ომში და ყველა უკუ აქცია.

შემდეგ პიაზიდი შემოერტყა ჯარით ცარეგრადს ანუ კოსტანტინეპოლს და ათი წელიწადი იომა ასალებად, მაგრამ დრომ და შემთხვევამ ჩაუშალა განზრახულობა და იქნება კიდეც აელო, თუ თემურ-ლენგი არ გამოსჩენოდა. შეიტყო თუ არა პიაზიდმა, რომ თემურ-ლენგმა მიდია, მესოპოტამია, სპარსეთი, ანატოლია და სხვა ქვეყნები დაიპყრა და უკანასკნელ მთლად ოსმალეთსაც ასეთივე ბედი მოელოდა, ამისათვის მიანება თავი ცარიგრადს და შეებრძოლა თემურ-ლენგსა, მაგრამ თემურმა სძლია, დაიჭირა ტყვედ და დაამწყვდია რკინის ყაფაზაში, სადაც თავისის ხელით მოიკლა თავი.

როდესაც პიაზიდი თემურ-ლენგს შეებრძოლა ანატოლიაში, თავისი ორი შვილი უზუნ მუსულმან და მუსა გაგზავნა ბოლგარიაში, ფრაკიაში და სერბიაში, რათა ებრძოლონ და დაიპყრან დანარჩენნი დაუმონავებელნი. პიაზიდის სიკვდილის შემდეგ გახდნენ მეფედ უზუნ სულეიმან და მუსა, რომელთაც დაიპყრეს დარდანია, ორხიდა, ბიტოლა, ჰერცოგოვინა და დალმაცია. უზუნ მუსულმანმა-კი გაიმძლვარა თავისი სიძე აჰმედ-ფაშა და გაილაშქრა ზლატიცისკენ, სამაკოვისკენ და ბოლოს კუსტენდილისკენ, სადაც დაუხვდნენ მრავალნი ბოლგარნი, დაამარცხეს და თვითაც მოკლეს ათას ოთხას თერთმეტში (1411).

სულთან მუსამ შეიტყო თუ არა ეს, მაშინვე მოაკვლევინა ვულკა და ლაზარე და მათთან დანარჩენნი ბოლგარიის თავადნიც, ვინც-კი ახლდნენ ტყვედ; დაანება დარდანიას თავი და გაილაშქრა სამაკოვისკენ, აქ იოანე შიშმანი შეებრძოლა, მაგრამ ბოლგარნი დარჩნენ დამარცხებულნი და თვით იოანე შიშმანიც მოჰკლეს.

შიშმანს დარჩა ერთი ვაჟი ვლადისლავ, რომელიც გაიქცა ვიდინში და მიეკედლა თავის ბიძას გიორგის.

როცა გიორგიმ შეიტყო თავის ძმის იოანე შიშმანის სიკვდილი, გამოაცხადა თავისი თავი ბოლგარიის მეფედ, შეჰყარა მრავალი ჯარი ბოლგარნი, სერბნი, ჰუნგარნი და შეებრძოლა სულთან მუსას. ომი მოუხდათ ქ. ზლასტიცასთან; ბოლგარებმა დაამარცხეს, სულთან მუსა და მისი სარდალი ახმედ-ფაშაც მოჰკლეს (1421).

სულთან მუსას შემდეგ მაგომედი გახდა სულთნათ, რომელმანც იცოცხლა ცოტას ხანს.

ამის შემდეგ მურად მეორე გახდა სულთნათ (1422), ეს მურად შეებრძოლა ბოლგარიის მეფეს (1432) გიორგის. გიორგიმ ვერ შეიმაგრა ოსმალოს ჯარი და ნიშნად კავშირი[…] სა და მშვიდობიანობისა მიათხო[…] თავისი დაი მარია. მურადმა შემდ[…] ბოლგარიის და სერბიის ომისა გა[…] ლაშქრა იოანე კოსტრიოტზედ ა[…] ბანიაში, დაიმონავა იოანე, რომელ[…] მანც მისცა მძევლად თავისი სამი ვა[…] გიორგი, კოსტანტინე, ვსეტოსლავ [...] სამიც ქალი. მურადი შეურიგდა [...] არა იონეს ისარგებლა შემდეგის შ[…] თხვევით, რომელიც ამორჩეეთ მთავარ[…] კოსტანტინე პალეოლოგის, დიმიტ[…] რის და თომას შორის განხეთქილე[…] ჰსუფევდა—მიადგა ამათ მურადი ჯ[…] რით, თომა უომრად დაემორჩილ[…] ოლონდ ნუ მომკლამ და ჩემის ს[…] ბრძანებლიდამ, რომელი ალაგი გნ[…] ბავს—მომირთმევიაო. მაგრამ დიმიტ[…] რიმ-კი წინააღმდეგობა გაუწია და [...] დარწმუნდა, რომ მურადს ვერას [...] აკლებდა მოიტაცა ანდრია მოცი[…] ლის თავი, გაიქცა რომის პაპასთა[…] და შესჩივლა ოსმალთაგან ქრისტიან[…] ბის დევნა და წვალება. პაპამ მოისმი[…] ნა და შეუთვალა სხვათა შორის ბოლ[…]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისში მცხოვრებ ფრანცუზებმა ბალი და მასკარადი გამართეს ამას წინად, აქაურ ღარიბ ფრანცუზების სასარგებლოდ, და როგორც ახლა აცხადებენ, ამ ბალიდამ, ხარჯს გარდა, 1,416 მან. ნაღდი დარჩენიათ.

## „დროების“ კორრესპონდენცია.

—

**ფოთი, 10 თებერვალს.** ფოთის დაარსებისათანავე გაჩნდნენ რამდენიმე ბერძნები თათრის ქვეშევრდომნი, რომელნიც ჰყიდულობდნენ სიმინდს. ფასს თავის სურვილზე აძლევდნენ, ხან მეტს და ხან ნაკლებს; ერთის სიტყვით ხელში უჭირავთ სამეგრელო-აფხაზეთი, გურია და იმერეთი და ერთმანეთში პირი აქვსთ შეკრული.

ამ ნაირად ეჭირათ ხელში შარშანდლამდინ მთელი ეს მხარე; შარშან სამზღვარ-გარეთიდამ გაჩნდა ვიღაც ღვთისნიერი ვაჭარი როზენფელდი, რომელმაც იყიდა 300,000 ფუთი სიმინდი; ჰყიდულობდა ნაღდზედ და უეშმაკოდ, ფასსაც მომეტებულს აძლევდა ესე, რომ ფუთში 15 და 20 კაპ. მოემატა წინანდელს წლებზედ. ბერძნების ხელში არაოდეს 45 და 50 კაპ. არ ასცილებია ფუთი სიმინდი და შარშან კი 60 და 70 კაპ. იყო და ხან მეტიც.

თუ ოდესმე უცხო ვინმე გამოჩენილა სიმინდის მსყიდავი, ბერძნებს ყველა ღონის-ძიება უხმარიათ და როგორმე თავიდან მოუშორებიათ, იმისთანა თავიანთებური ოინი უხმარიათ, რომ შემდეგში ის მსყიდველი აღარ გამოჩენილა სიმინდის სასყიდლად.

ზემოხსენებული როზენფელდი რადგანაც შარშან კმაყოფილი წავიდა აქედამ, წელსაც მოვიდა სიმინდის სასყიდლად. რო დაინახეს ბერძნებმა, გული გაუსქდათ, სხვა ველარა მოახერხეს-რა, ხმა გაავრცელეს, რომ როზენფელდი სამზღვარ-გარეთელი ურია არისო, აქ ყოფნის ნება არა აქვსო! იმდენი იყაყანეს, რომ პოლიციამაც ყურადღება მიაქცია, აღუკრძალეს ვაჭრობა, როგორც სამზღვარ-გარეთელ ურიას. ახლა, როგორც როზენფელდისაგან გავიგე, ის ცდილობს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ნება მიეცეს; თუ არა და რუსის ქვეშევრდომს ქრისტიან კაცს დასტოებს თავის მოადგილედ და ბერძნებს კი თავიანთს სურვილს არ შეასრულებინებს. ღმერთმა ჰქნას, ნება მიეცეს აქ ყოფნისა ამისთანა სასარგებლო კაცს.

დეკემბრის 15-დამ დღემდის სამჯერ მზე არ დაგვინახავს, იმედი დაგვეკარგა გაზაფხულისა. დღესაც თოვს.

ფოთელი.

## წერილი რედაქტორთან.

—

ბ. რედაქტორო? თქვენ „დროების“ № 18-ში მე წავიკითხე ფელტონი, რომლის ავტორი ბ-ნი ფანქრათი ჰკიცხავს ჩვენს მოქმედებას. ამისათვის გთხოვთ თქვენ მისცეთ ადგილი შემდეგს ჩემს პასუხს:

ბ. ფანქრათი სწერს: „აბაშიძეებს“ კანონად უწერიათ: ქეიფი, ჩხუბი, მეტივეების შეწუხება და ციხეში ჯდომა.“

ავტორს დიდი სიცრუვე დაუწერია, რომლითაც ცუდუბრალოდ მოუცავს გაზეთის ტურფა ფონი.

ვიბრძანეთ, ბ. ფანქრათ: ვინ არის ჩვენგნით შეწუხებული მეტივეები, რატომ ერთს მაინც არ ასახელებთ? რატომ ისინი კი არ ამოწმებენ შენს სიტყვებს? რატომ არა სთხოვე, თუ შენ მართალი ხარ,—იმათაც შენს სტატიაზე (რედაქტორთან გამოგზავნილზე) ხელი მოეწერა, შენი სიტყვების დასამოწმებლად? ან განა არ შეეძლო იმ შენს მეტივეებს, ჭეშმარიტების აღსადგენად, სხვა წერილი გამოეგზავნა რედაქციაში, რომელსაც უფრო დაუჯერებდა მკითხველი საზოგადოება? მაგრამ როგორ გამოაგზავნინებდი წერილს და ან ვინ სულელი დაგეთანხმებოდა მაგაში, როდესაც მთელმა ქვეყანამ და თვითონ მეტივეებმაც იციან, რომ სტყუვი ისე, როგორც იუდა. იმედი გვაქვს, რომ ყველა მეტივეები და ბევრი სხვებიც დაგვემოწმებიან, რომ ჩვენ იმათი შემწუხებლები არა ვართ და არც ვიქმნებით. არამც თუ იმათ ჩვენგან ჰქონდეთ შეწუხება, არამედ ბევრჯელ დიდი შემწეობა უფრო ჰქონიათ.

ავტორმაც კარგად იცის, რომ მეტივეების შეწუხებას, ავაზაკობას და სხვა ამ გვარ ქცევას ჩვენ აშორებული ვართ.

მართალია, მე მომიხდა ერთხელ სურამის მომრიგებელ მოსამართლის წინა მოადგილეებთან შემთხვევით, ხელის შეხება, რომელზედაც რამოდენიმე თვით კანონმა დამსაჯა და იგი მოსამართლე განდევნა სამუდამოდ სამსახურიდამ. ჰკითხეთ სურამის ნაწილის ხალხსა და თვითონ დაგარწმუნებენ, რომ უფრო ადრე იყო იგი გასადევნი და იმისთანა მტარვალის მოშორებით ხალხს უფრო დიდი შემწეობა მიეცათ.

ამ ნაირი შემთხვევა რა დასაცინია მაშინ, როდესაც ამ გვარის შემთხვევით ციხეში ჯდომის კენჭი ბევრს ისეთს პირებსაც რგებიათ, რომ შენ, ჩემო ფანქრატ, თუ არ გეწყინება, იმათთან შედარებით ბუზიც ძლივს იქნებით.

სხვათაცა მრავალთა სიცრუეთა შორის, ბ. ფანქრათ კიდევ სწერს: „ერთი ამ აბაშიძეთაგანი, როცა დათვრება, ცხენ-და-ცხენ იწევს გაცხარებულ სწავლის დროს სკოლაში ლეკურის სათამაშოდ“. ეს ავტორის ცოცხალ-ცოცხალი ტყუილებია; მთვრალს კაცს, თქვენც იცით, რა ესკოლება? დუქანი, რომ დაესახელებინა ფანქრათს, უფრო მოუხდებოდა.

ღმერთმან ხომ იცის, რომ ზემოჭალაში სკოლის დაარსება მოხდა აბაშიძეებისაგან, როგორც თანაგრძნობით, აგრეთვე მატერიალურის საშუალებითაც და ერთობ ყველანი მზადა ვართ თავი დავზდოთ ამ კეთილ საქმეზე და რაიმე ნაირად უფრო-და-უფრო წინ წავიყვანოთ. მაგრამ რაც შეეხება სკოლაში ლეკურ თამაშობას და მეტივეების შეწუხებას, ღმერთო, გვიხსენ მეორედ ამ ნაირი ცილისწამებისაგან.

სვიმონ აბაშიძე.

თებერვლის 11.
ქ. გორი.

# რუსეთი

(გაზეთებიდან)

გაზ. „გოლოსში“ იწერებიან, წინა დადება არის ხელ ახლავ გარდაიხედოს წესდებულება, რომელიც ნებას ართმევს გაყრილ ცოლ-ქმართ ბევრ შემთხვევაში ხელ ახლად დაქორწინებისას.

—

ამავე გაზეთის სიტყვით, მმართებლობას ყურადღება მიუქცევია სამოქალაქო პროცესების ერთობ ძვირ და ფორმალურ მსვლელობაზედ. ამ საგნის შესახებ იუსტიციის სამინისტროში შემდგარა კამისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს, შეამციროს ამ გვარი პროცესების მსვლელობა და მათი გადაწყვეტა დააფუძნოს მხოლოდ სხვა-და-სხვა პირობებზედ და ვალდებულებებზედ.

—

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ იქაური რუსის ელჩი ნოვიკოვი სთხოვს ოსმალეთის მმართებლობას გარდაწყვეტილი პასუხი მისცეს მას, თუ რომელ წყაროებიდამ აპირებს

---

გარიის მეფეს გიორგის, რომ თუ თქვენ—ბოლგარნი, სერბნი და ბერძენნი მიიღებთ ჩემს კათოლიკე სარწმუნოებას მოგაშველებ—ფრანცუზებს, ვენეციანელებს, პოლიაკებს, ნემცებს, ჰუნგარებს და სხ... და ამ სახით დაგიხსნი ოსმალეთის ხელიდამო, მაგრამ გიორგიმ უარი გამოუცხადა სარწმუნოების გამოცვლაზედ. მაინც აქა აღნიშნული ქრისტიანების ჯარი შეიყარა დიმიტრი პალეოლოგის წინამძღომელობით, მაგრამ ოსმალებს ვერა დააკლეს რა და დიმიტრი პალეოლოგი პირველ დასაწყის ომშივე მოკლეს, მოჰსჭრეს თავი, ჩადეს თაფლის გუდაში და გაუგზავნეს ბრუსაში სულთანს.

ამ ხანებში სულთან მურადს და სპარსეთის შაჰს უზუნ-ჰასსანს ანატოლიაში მოუხდათ ომი, ხოლო მურადმა ადრიანოპოლში დასტოვა თავისი შვილი მაგომედ მეორე სულთნათ. ამ დროს გიორგი სტრაშიმირმა, ძმის-წულმა ამისმა ვლადისლავმა და ბიტოლის ერისთავმა იანკულამ, შეჰყარეს მრავალი ჯარი: გიორგი დაერია ბოლგარიაში მყოფ ოსმალებს რომელნიც ძრიელ დააზარალა: ზლატიცაში მოკლა მუსტაფა ფაშა, ქ. ნიშთან დაამარცხა სულთანის ვეზირი—ოსმანი და უკანასკნელ გადავიდა და დაირეკა სერბიიდამ ოსმალები;— იანკულა გადავიდა ვლახეთში და ბუხარესტის ახლოს დაამარცხა მაგნეზბეგი, შემდეგ დაამარცხა ჰუსეინ-ფეშა და ამ სახით დაირეკა მთლათ ვლახეთიდამ ოსმალები; ვლადისლავმა გაილაშქრა დობრუჯისაკენ და წაართვა ოსმალებს ქალაქი ვარნა. ამ ხანებში სულთან მურადი დაბრუნდა ანატოლიიდამ და მოვიდა ბრუსსაში.

მურად მეორის სიკვდილის შემდეგ შვილი ამისი მაგომედ მეორე გასულთნდა. ამან დაანება თავი ბოლგარიას, სერბიას, ალბანიას, მაკედონიას და სხ... და მიადგა კოსტანტინეპოლს.

როცა სულთან მაგომეტმა დაიმშვიდა გული და დაიპყრა სტამბოლი, შემდეგ შეჰყარა ნახევარ მილიონი მეომარი და მოეფინა მთლად ბოლგარიას და სერბიას. თითონ სამაკოვს მოადგა და ჩქარა აიღო, შემდეგ ბოლგარები გამაგრდნენ ქ. სოფიაში, აქ შვიდი წელიწადი განუწყვეტელი ომი ჰქონდათ და ბოლოს ესეც აიღეს.-ზინალ-ფაშა ზლატიცას მიადგა და აიღო, აქედამ გადავიდა ლოვჩაში, შემდეგ-ვიდინში, სადაც გიორგი სტრაშიმირი სამი წელიწადი ებრძოლა, მაგრამ ბოლოს მაინც ზინალმა სძლია და ქაპანთან დაიჭირა ცოცხალი ცოლ-შვილით (1459).

ეს გიორგი სტრაშიმირი იყო უკანასკნელი მეფე ბოლგარიისა. ასე გათავდა იმ ხანად ბოლგარიის, სერბიის და ბერძნების მეფობა და დამოუკიდებელი ცხოვრება.

ბოლგარიის ბედი მარტო ამ დამონავებით არ გათავდა:

სულთან მაგომედ მეორის მემკვიდრე სულთან სელიმი შეესია ჯარითა დამშვიდებულ და დამონავებულ ბოლგარიას: თითონ გაინავარდა დასავლეთ ბოლგარიისკენ, სარდალი მირზა ორმოც-და-ექვსი ათასის კაცით გაგზავნა მდინარე დუნაის ნაპირებში: მაკედონიაში გაგზავნა მეორე სარდალი და ამ სახით დრამადამ დაწყობილი ბოსნამდისინ მთლად გაასმალა და ააოხრა. რაც საუკეთესო ეკკლესიები იყო მეჩითებად (ჯამია) გადააკეთეს და ვინც გამოჩენილნი და გავლენიანი სწავლულები და თავადნი იყვნენ, ბერძნების პატრიარხის ჩაგონებით, გაჟლიტეს და ზოგნი გაასმალეს. დარჩა მხოლოდ საცოდავი ემინი მუშა გლეხ-კაცობა-ღა......

შემდეგ ამისა ბერძნებმა იგდეს ხელში ბოლგარიის ეკკლესიის მმართველობა და მღვდელთ-მთავრობა. ბერძნულად წირვა ლოცვის გარდა არა ჰქონდათ ნება ბოლგარებს; არ შეეძლოთ თავიანთ სამშობლო ენაზედ, ეწირათ ეკკლესიებში.

(გაგრძელება.)

ოსმალეთი რუსეთის ხეედრ კონტრიბუციის ფულის ზღვევას.

—

ავსტრიის წინააღმდეგ აჯანყებულ ჰერცოგოვინელებს გამოუხმაურებიათ პროკლამაციები, რომელშიაც ამბობენ, რომ ისინი მოელიან დახმარებას ყველა სლავიანებისაგან, მეგობრულ განწყობილებას ინგლისისაგან, და შეწევნას სერბიისაგან, ჩერნოგორიისა და რუსეთისაგანაცაო.

—

ადმირალ ჟორეს დანიშვნა საფრანგეთის რესპუბლიკისაგან ელჩად პეტერბურღში გარდაწყვეტილი საქმეა.

—

ამას წინად გაზეთებში დეპეშა იყო დაბეჭდილი, რომ საფრანგეთის რესპუბლიკამ გარდაწყვიტაო რუსის რევოლიუციონერის ლავროვის განდევნა თავის სამფლობელოდამაო. ამ საქმეში კინაღამ გამოჩენილა რუსის მწერალი ი. ს. ტურგენევიც არ გახვიეს. მას აბრალებდნენ ზოგიერთი ფრანცუზული გაზეთები ლავროვთან მეგობრობა მკვიდრი კავშირი და კეთილი გაწყობილება ჰქონდაო. ტურგენევმა გაიმართლა თავი პატარა წერილით ფრანცუზ. გაზ. „ზოლუა“-ში, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს, რომ მე ლავროვს ვიცნობდი მხოლოდ, როგორც ლიტერატორს, თითონ ლავროვმა მე კიდეც გამკიცხაო ერთხელ თავის სტატიაში, რომ მე, როგორც ლიბერალი და ოპპორტუნისტი, ვიყავი წინააღმდეგი იმისა, რასაც ის ცხადა რევოლიუციურ იდეების გავრცელებას რუსეთშიო.

— ამ საქმისვე შესახებ ეხლა ამბობენ, რომ ლავროვის წინააღმდეგ იმიტომ მიიღო საფრანგეთის მართებლობამ ხსენებული ზომები, რომ მან და ვერა ზასულიჩის ქალმა ერთად მიმართეს გაზეთებს ხელის-მოწერა გამართონ რუსეთის რევოლიუციონერების სასარგებლოდაო.

ეს წინადადება სამმა გაზეთმა მიიღო თურმე: „სიტუაიან“, „ანტრანსიჟანმა“ და „პროლეტერმა“, მაგრამ ჯერ-ჯერობით თითქმის არაფერი არ შეუგროვებიათ ამათ ხელის-მოწერითაო.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

სამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა მიჰმართავს ამ საზოგადოების წევრთ და სთხოვს, ვისაც წარსულის 1881 წლის საწევრო ფული არ შემოუტანია, ამ ადრესით გამოგზავნოს; **Въ Тифлисъ. Козначею Общества распространенія грамотности князю Георгію Михайловичу Туманову. Барятинская улица, собственый домъ.** (6—3)

## ისყიდება

შუა-ბაზარში, აკიმოვის ქუჩაზედ სახლი მიწითა, აგრეთვე მარანცოვის წყლის-პირა ქუჩაზედ სამ-სართულიანი სახლი № 13, იქვე დიდი ადგილი. პირობები შეიტყობა იქვე სახლის-პატრონებთან, ან დამარატკისთან, ბარონის ქუჩ., № 15. (3—1)

ისყიდება ხუთი ათასი ფუთი თივა; ერთი ათასი ფუთი ქერი; სამი ათასი ფუთი პური. მსურველთ შეუძლიანთ ფასი გაიგონ ვაყის მღვდლის, ბორის მაზრის, ი. მახარობლიძისაგან ან ბომის სტანციაში ან თვით ს. ვაყაში, რომელიც ამ სტანციას $1\frac{1}{2}$ ვერსით შორამს. (5—3)

# აუქციონი

20-ს და 27 თებერვალს კავკასიის აქეთა-მხრის ჰრიკაზში დანიშნულია აუქციონით გასყიდვა ოქრო-ვერცხლის და მვირფას ნივთებისა. (3—3)

1882 წლის 10 თებერვლიდგან ქ. თფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, არხიტექტორი ბელოვის სახლში დაარსდა

# „იურიდიული კაბინეტი“

მუდამ დღე მიიღებენ მთხოვნელთ კვირა და დღესასწაულებს გარდა 9 საათიდგან 3 საათამდინ და საღამოზე 7—10 საათამდინ.

**კაბინეტი** მიიღებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის წესით დაწყებულ დავას, გარდასცემს იურისტებს (კანონის მცოდნეს) თავის თავდებობის ქვეშ.

**კაბინეტი** შეადგენს პროექტებს და სხვა-და-სხვა საქმის ქაღალდებს მმართებლობის და სასამართლოების სახელზე, აგრეთვე ურჩევს მსურველთ სიტყვიერად. ფასები დანიშნულია ყველასთვის შესაძლო ტაქსის თანახმად, რომელიც საყოველთაოდ გამოცხადებულია. რთულ კითხვებზე მსურველნი მიიღებენ კაბინეტისგან იურისტების წერილობით აზრს.

**კაბინეტი** გაგზავნის კავკასიის აქეთ და იქით მხრის ადგილებში ყველგან საქმეების ხაწარმოებლად ვექილებს.

**კაბინეტს** აქვს იურიდიული ბიბლიოთეკა, რომელიც მუდამ შეიმსება ახლად გამოსული თხზულებაებით და იურიდიული ჟურნალ-გაზეთებით. (1—1)

**თფილისის ქალაქის გამგეობა** იწვევს პირთ, რომელნიც ისურვებენ **იჯარით** აიღონ მორწყვა მიხაილოვის ხიდისა და მიხაილოვის ქუჩისა მადათაანთ ქუჩიდამ მუშტაიდის ბაღამდე, მობრძანდნენ ამ საგნის შესახებ დანიშნულ ვაჭრობაზედ, 18-ს ამა თებერვლის თვესა 12 საათზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ 2-საათამდე ნაშუადღევისა. (3—1)

**თფილისის ქალაქის გამგეობა** იწვევს პირთ, რომელნიც ისურვებენ **იჯარით აიღონ** საჭირო მასალების, მიწის და ქვისა მოპოვება და სხვა საჭირო მუშაობა განოვის ქუჩის მხრით ქალაქის სახლის გასაშენებელ ნაწილისათვის, მობრძანდნენ ქალაქის გამგეობაში ამა თვის 19-სა 12 საათზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა ამ საქმის შესახებ შეიძლება ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ 2-საათამდე ნაშუადღევისა. (3—1)


## ანგარიში

### ქვარლის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობისა 1880 წლისა.

1-ს იანვრისთვის 1880 წლისა მდგომარეობდა:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,460—30 | გასესხებული — — | 4,966—40 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 3,224— „ | ნაღდათ — — — | 372—82 |
| სათადარიგო თანხა — | 234—27 | | |
| წმინდა მოგება — — | 416—65 | | |
| სულ— | 5,339—22 | სულ— | 5,339—2[illegible] |

1880 წელში:

| შემოვიდა: | მან. კაპ. | გავიდა: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 300— 4 | წლის ფული— — — | 90—97 |
| სარგებელი დაჭერილი სესხობის ანუ ახალის ვადის მიცემის დროს — | 642—55 | გასესხებული— — — | 3,832—47 |
| ჯარიმა — — — — | 128—80 | სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილის ფულის | 193—44 |
| დაბრუნებული სესხი — | 3,495—20 | სამმართველოზედ — — | 97— „ |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 193—44 | სხსა-და-სხვა გასავალი — | 3—76 |
| სათადარიგო თანხა — | 22—33 | ალებ-მიცემისა — — | 123—45 |
| სულ— | 4,782—36 | სულ— | 4,341— 9 |

1-ს იანვრისა თვის 1881 წლისა არის

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1,673—37 | გასესხებული— — — | 5,303—67 |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — — | 3,417—44 | ნაღდი ფული — — | 814— 9 |
| სათადარიკო თანხა — | 256— | | |
| წმინდა მოგება — — | 770—60 | | |
| სულ— | 6,117—76 | სულ— | 6,117—76 |

(3—1)

მმართველნი: მიხეილ მელიქოვი. დავით რუსთველი. ნიკოლოზ მირზიკაშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Февраля 1882 г. Типографія Меликова. ზამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მე[illegible]